



საქართველოს ეროვნული ბანკი
National Bank of Georgia

დეკლარაცია თვის მიმოხილვა

2023

ინფლაცია	3
საბანკო სექტორი	5
საბარეო სექტორი	7
სავალუტო ბაზარი.....	11
ფულადი ბაზარი.....	14
მონეტარული აგრეგატები.....	15


“თვის მიმოხილვა“
მომზადებულია საქართველოს ეროვნული ბანკის
მაკროეკონომიკისა და სტატისტიკის დეპარტამენტის მიერ

ინფლაცია


2023 წლის ნოემბერში წლიურმა ინფლაციამ 0.1% შეადგინა, ხოლო ოქტომბერთან შედარებით ფასები 0.2%-ით შემცირდა.

დაბალ ინფლაციას, ერთი მხრივ, ადგილობრივი ინფლაციის კლებადი ტენდენცია განაპირობებს, რაც მკაცრი მონეტარული პოლიტიკის შედეგია. ამავდროულად, მსოფლიოში სურსათის ფასების კლების ტენდენცია მეცნილად გრძელდება. დაბალ დონეზე ნარჩუნდება ტრანსპორტირების ღირებულება. ბოლოდროინდელი მცირედი გაუფასურების მიუხედავად, ლარის რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი მყარ პოზიციას ინარჩუნებს. ეს კი საგარეო შოკების ეტაპობრივ მიღვევასთან ერთად იმპორტირებული ინფლაციის დაბალ დონეზე შენარჩუნებას ხელს უწყობს.

თვის ინფლაცია -0.2% (წლილი)



წლიური ინფლაცია 0.1% (წლილი)



წყარო: საქსტატი; საქართველოს ეროვნული ბანკის გაანგარიშებები


წყარო: საქსტატი; საქართველოს ეროვნული ბანკის გაანგარიშებები

ნოემბერში, ოქტომბერთან შედარებით, სამომხმარებლო კალათაში ფასების მნიშვნელოვანი ცვლილება არ მომხდარა.

წლიურ წრეში აღსანიშნავია სურსათის 3.6%-ით გაიფხვრა, რაც ინფლაციას 1.1 პპ-ით ამცირებს. სურსათიდან გამოსარჩევია მზესუმზირის ზეთის, პურის და კარცოფილის გაიფხვრა, რამაც ნოემბერში ინფლაცია ჯამურად 1.2 პპ-ით შეამცირა. ძროხის ხორცის გაძვირებამ კი ინფლაცია 0.4 პპ-ით გაზარდა. ამდენითვე გაზარდა ინფლაცია საბანკო მომსახურების გაძვირებამ. რამდენიმეთვიანი მნიშვნელოვანი ზრდის შემდეგ ნოემბერში საწვავის გაძვირება თითქმის შეჩერდა, თუმცა ბენზინის ფასმა გასული წლის ნოემბრის ფასს 3.9%-ით გადააჭარბა და ინფლაცია 0.2 პპ-ით გაზარდა.


საბაზო ინფლაციამ, რომელიც სამომხმარებლო კალათიდან მალალი მერყეობით გამორჩეულ სურსათის, ენერგომადარებლების და სიგარეტის ფასებს გამორიცხავს 1.8% შეადგინა.

მთლიანი და საბაზო ინფლაცია



წყარო: საქსტატი

ჯგუფების წლილი მთლიან ინფლაციაში





წყარო: საქსტატი; საქართველოს ეროვნული ბანკის გაანგარიშებები

ადგილობრივად წარმოებული პროდუქტების წლიურმა ინფლაციამ გასულ თვესთან შედარებით 0.7 პპ-ით მოიკლო და ნოემბერში 3.8% შეადგინა. ადგილობრივი ინფლაციის კლება მეცნილად სურსათის ფასების წლიურ გაიფხვრას და ზოგიერთ მომსახურებაზე (ბინის ქირა, სამედიცინო მომსახურება და ა.შ) საბაზო ეფექტის ამოწურვას უკავშირდება. სურსათის ფასების წლიური შემცირება შერეულად წარმოებული პროდუქტების ფასების ინფლაციის შემცირებაზეც აისახება. იმპორტირებული პროდუქტების დეფლაცია მცირდება (-1.0%) და ამის მიზეზი პირველ რიგში საწვავის ფასების ზრდა და საბაზო ეფექტია.

შედარებით მაღალ ადგილობრივ ინფლაციას მომსახურების წლიური გაძვირება (6.8%) განაპირობებს. მომსახურების წვლილი ადგილობრივ ინფლაციაში 3.0 პპ-ია. თავის მხრივ, მომსახურების ინფლაციაში მაღალი წვლილი აქვს საბანკო მომსახურების გაძვირებას (1.5 პპ მომსახურების ინფლაციაში) და გასულ წელს უცხოელთა რაოდენობის მკვეთრი მატების შედეგად გაზრდილ ბინის დაქირავების ღირებულებას (0.6 პპ მომსახურების ინფლაციაში).

იმპორტული, შერეული და ადგილობრივად წარმოებული პროდუქტების ინფლაცია და მათი წვლილები მთლიან ინფლაციაში



წყარო: საქსტატი

წყარო: საქსტატი


ინფლაცია ჯგუფების მიხედვით	2023 წლის წონები	ნოე23/ოქტ23		ნოე23/ნოე22	
		ინფლაცია	წვლილი	ინფლაცია	წვლილი
სულ	100.0%	-0.2%	-0.2%	0.1%	0.1%
სურსათი და უალკოჰოლო სასმელები	33.7%	-0.5%	-0.2%	-3.1%	-1.0%
სურსათი	30.9%	-0.6%	-0.2%	-3.6%	-1.1%
პური და პურიპროდუქტები	6.1%	-0.8%	0.0%	-9.2%	-0.6%
ხორცი და ხორციპროდუქტები	7.0%	0.4%	0.0%	6.3%	0.4%
თევზი	0.5%	-0.8%	0.0%	5.0%	0.0%
რძე, ყველი და კვერცხი	6.9%	0.5%	0.0%	-3.5%	-0.2%
ზეთი და ცხიმი	2.6%	0.1%	0.0%	-19.4%	-0.5%
ხილი, ყურძენი	1.6%	-2.0%	0.0%	12.2%	0.2%
ბოსტნეული, ბალჩეული, კარტოფილის და სხვა ბოლქვოვანების ჩათვლით	3.4%	-3.7%	-0.1%	-11.7%	-0.4%
შაქარი, ჯემი, თაფლი, სიროფები, შოკოლადი, საკონდიტრო ნაწარმი	2.2%	-1.5%	0.0%	-2.5%	-0.1%
კვების სხვა პროდუქტები	0.7%	0.3%	0.0%	-3.2%	0.0%
უალკოჰოლო სასმელები	2.9%	0.6%	0.0%	1.9%	0.1%
ალკოჰოლური სასმელები და თამბაქო	6.9%	-0.8%	-0.1%	5.1%	0.3%
ცანსაცმელი და ფეხსაცმელი	4.0%	1.3%	0.1%	-0.5%	0.0%
საცხოვრებელი სახლი, წყალი, ელექტროენერგია, აირი და სათბობის სხვა სახეები	9.0%	0.9%	0.1%	3.4%	0.3%
ავტო, საოჯახო ნივთები და მორთულობა, სახლის მოვლა-შეკეთება	5.2%	-1.7%	-0.1%	-3.5%	-0.2%
ჯანმრთელობის დაცვა	9.4%	-0.8%	-0.1%	-4.3%	-0.4%
ტრანსპორტი	12.3%	-0.1%	0.0%	2.5%	0.3%
კავშირგაბმულობა	3.6%	0.1%	0.0%	-2.7%	-0.1%
დასვენება, გართობა და კულტურა	3.1%	-0.7%	0.0%	-2.6%	-0.1%
განათლება	4.4%	0.0%	0.0%	3.6%	0.2%
სასტუმროები, კაფეები და რესტორნები	3.1%	0.0%	0.0%	6.6%	0.2%
სხვადასხვა საქონელი და მომსახურება	5.3%	0.0%	0.0%	9.8%	0.5%
ხანმოკლე მოხმარების საქონელი	63.6%	-0.5%	-0.3%	-1.9%	-1.2%
საშუალო მოხმარების საქონელი	7.1%	1.0%	0.1%	-1.5%	-0.1%
ხანგრძლივი მოხმარების საქონელი	4.9%	-0.6%	0.0%	-6.4%	-0.3%
მომსახურება	24.4%	0.1%	0.0%	6.8%	1.6%

წყარო: საქსტატი

საბანკო სექტორი


ოქტომბერში, საბანკო სექტორის სადეპოზიტო ვალდებულებები წლიურად 7.2 მლრდ ლარით გაიზარდა (თვიურად 441.3 მლნ ლარით გაიზარდა) და 49.6 მლრდ ლარი შეადგინა. სადეპოზიტო ვალდებულებები წლიურად 17.1%-ით გაიზარდა, მეცნილად ეროვნული ვალუტის დეპოზიტების მატების გავლენით. ოქტომბერში წინა თვესთან შედარებით, ეროვნული ვალუტის სადეპოზიტო ვალდებულებები 290.2 მლნ ლარით (1.2%-ით) გაიზარდა და 24.6 მლრდ ლარი შეადგინა. აღნიშნული ზრდა, ვადიანი დეპოზიტების მატებამ გამოიწვია. რაც შეეხება უცხოური ვალუტის დეპოზიტებს, წინა თვესთან შედარებით 326.4 მლნ ლარით გაიზარდა. სამთავრობო სექტორის დეპოზიტები 111.5 მლნ ლარით გაიზარდა.

სადაპოზიტო ვალდებულებები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


სადაპოზიტო ვალდებულებები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


ოქტომბერში დეპოზიტების საშუალო შენონილი საპროცენტო განაკვეთები (მთავრობის გარეშე) წინა თვესთან შედარებით 0.1 პპ-ით გაიზარდა და 6.8% შეადგინა. ეროვნული ვალუტით დენომინირებულ დეპოზიტებზე საშუალო შენონილი წლიური საპროცენტო განაკვეთი 0.3 პპ-ით 8.7%-მდე გაიზარდა, ხოლო უცხოური ვალუტით განთავსებულ დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთი 0.1 პპ-მდე და 1.5% შეადგინა. რეზიდენტების ლარის ვადიანი დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთი 0.3 პპ-ით გაიზარდა და 11.7% შეადგინა, ხოლო აშშ დოლარის ვადიანი დეპოზიტის საპროცენტო განაკვეთი 0.5 პპ-ით 2.2%-მდე გაიზარდა. ევროს ვადიანი დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთი წინა თვესთან შედარებით უცვლელია და 1.4% შეადგინა.

დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთები (მთავრობის გარეშე, ნაპალი)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


რეზიდენტების ვადიანი დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთები ვალუტების მიხედვით (ნაპალი)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


უცხოური და ეროვნული ვალუტის დეპოზიტების ზრდის ცემპებიდან გამომდინარე, დეპოზიტების დოლარიზაცია, **2023 წლის ოქტომბერში, წინა თვესთან შედარებით 0.1 პპ-ით შემცირდა და 50.3% შეადგინა.** ოქტომბრის ბოლოს, ფიზიკური პირების დეპოზიტების დოლარიზაცია 0.1 პპ-ით 67.1%-მდე გაიზარდა, ხოლო იურიდიული პირების დეპოზიტების დოლარიზაცია, წინა თვესთან შედარებით, 0.5 პპ-ით 39.8%-მდე შემცირდა. ფიზიკური პირების ვადიანი დეპოზიტების დოლარიზაცია ოქტომბერში, წინა თვესთან შედარებით 0.3 პპ-ით 62.6%-მდე გაიზარდა.

დეპოზიტების დოლარიზაცია (კურსის ეფექტის გამორიცხვით)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


ფიზიკური პირების ვალდანი დეპოზიტების დოლარიზაცია (კურსის ეფექტის გამორიცხვით)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


ოქტომბერში, გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით, სესხები წლიურად 16.1%-ით გაიზარდა. სესხების ზრდის ცემბმა წინა თვესთან შედარებით 1.1 პპ-ით მოიმადა. ოქტომბერში, ლარით დაკრედიტება წლიურად 15.1%-ით, 27.5 მლრდ ლარამდე გაიზარდა და მთლიანი სესხების ზრდაში 8.4 პპ-იანი წვლილი შეიტანა. უცხოური ვალუდით დაკრედიტება (გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით) 17.2%-მდე გაიზარდა და მთლიანი სესხების ზრდაში 7.7 პპ-იანი წვლილი შეიტანა. უცხოური ვალუდით დაკრედიტების ზრდა ძირითადად ბიზნეს სესხებით არის განპირობებული, რომლის წვლილი მთლიანი სესხების ზრდაში, 9.9 პპ-ია. იპოთეკური სესხების წვლილმა მთლიანი სესხების ზრდაში 2.1 პპ-ზე შეადგინა. ოქტომბერში, წინა თვესთან შედარებით, სამომხმარებლო სესხების ზრდის ცემპი 0.2 პპ-ით 21.8%-მდე გაიზარდა. სამომხმარებლო სესხების ზრდის ცემპი კვლავ მაღალ დონეზეა და მთლიანი სესხების ზრდაში 3.8 პპ-იანი წვლილი შეიტანა.

სესხების წლიური ზრდის დეკომპოზიციონი (კურსის ეფექტის გამორიცხვით)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

სესხები მიზნობრიობის მიხედვით (წლიური ზრდის დეკომპოზიციონი; კურსის ეფექტის გამორიცხვით)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ოქტომბერში, სესხების საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი წინა თვესთან შედარებით 0.3 პპ-ით გაიზარდა და 13.3% შეადგინა. ეროვნული ვალუდით გაცემული სესხების საპროცენტო განაკვეთი 0.2 პპ-ით 15.7%-მდე გაიზარდა, ხოლო უცხოური ვალუდით გაცემულ კრედიტებზე საპროცენტო განაკვეთი 0.9 პპ-ით 9.8%-მდე გაიზარდა.

საპროცენტო განაკვეთები იურიდიულ პირებზე გაცემულ სესხებზე (ნააკალი)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საპროცენტო განაკვეთები იპოთეკურ სესხებზე (ნააკალი)




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ოქტომბერში, იურიდიულ პირებზე ეროვნული ვალუტით გაცემული სესხების საპროცენტო განაკვეთი უცვლელია და 13.0% შეადგინა. იპოთეკურ სესხებზე ეროვნული ვალუტით გაცემული სესხების საპროცენტო განაკვეთი კი 0.1 პპ-ით შემცირდა და 11.7% შეადგინა. ოქტომბერში, წინა თვესთან შედარებით, იურიდიულ პირებზე უცხოური ვალუტით გაცემული სესხების საპროცენტო განაკვეთი 1.0 პპ-ით 10.2%-მდე გაიზარდა. უცხოური ვალუტით გაცემული იპოთეკური სესხების საპროცენტო განაკვეთები 0.2 პპ-ით 7.9%-მდე შემცირდა.


ოქტომბერში მთლიანი საკრედიტო პორტფელის დოლარიზაცია, წინა თვესთან შედარებით, 0.1 პპ-ით შემცირდა და 45.2%-ს გაუცოლდა. იურიდიული პირების სესხების დოლარიზაცია წინა თვესთან შედარებით უცვლელია და 63.9%-ს შეადგენს, ხოლო ფიზიკური პირების სესხების დოლარიზაცია 0.3 პპ-ით 28.8%-მდე შემცირდა. ოქტომბერში ვადაგადაცილებული სესხები წინა თვესთან შედარებით 28.1 მლნ ლარით გაიზარდა და 486.0 მლნ ლარს გაუცოლდა. ვადაგადაცილებული სესხების 41.2% ეროვნული ვალუტით არის დენომინირებული.

დოლარიზაცია (კურსის ეფექტის გამორიცხვით)

ვადაგადაცილებული ღვაწლიანობა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი





წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საგარეო სექტორი

2023 წლის ოქტომბერში საქონლის რეგისტრირებული საგარეო ვაჭრობის დეფიციტი წინა წელთან შედარებით 0.9%-ით შემცირდა და 748.4 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. **საგარეო ვაჭრობის დეფიციტის მატება იმპორტის ზრდას უკავშირდება.** აღნიშნულ თვეში, საქონლის იმპორტმა წლიურად 3.3%-ით 1,243.3 მლნ აშშ დოლარამდე მოიმატა, ხოლო ექსპორტი წლიურად 10.3%-ით გაიზარდა და 494.9 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

საქონლის ექსპორტ-იმპორტისა და სავაჭრო ბალანსის დინამიკა

სავაჭრო ბალანსი ქვეყნების მიხედვით (ოქტომბერი 2023)




წყარო: საქსტატი

წყარო: საქსტატი


იმპორტი - ოქტომბერში საქონლის იმპორტი წლიურად 3.3%-ით გაიზარდა. საქონლის იმპორტის მატება უმეტესად სამომხმარებლო და საინვესტიციო სახის საქონლის იმპორტის ზრდამ განაპირობა. კერძოდ, სამომხმარებლო სახის საქონლიდან ზრდაში ყველაზე მეტი წვლილი დაფასოებული სამკურნალო საშუალებების იმპორტმა შეიტანა. ეს უკანასკნელი ასევე მნიშვნელოვნად, წლიურად 57%-ით გაიზარდა. გარდა ამისა, სამომხმარებლო საქონლიდან შერეული საქონლის, ელექტრონიკის ნაწილებების და კავშირგაბმულობის აპარატების შემოტანა გაიზარდა, თუმცა აღსანიშნავია, რომ მსხვილი საიმპორტო ჯგუფის - ნავთობისა და ნავთობპროდუქტებისა და მსუბუქი ავტომობილების - იმპორტმა წლიურად მცირედით დაიკლო, რამაც სამომხმარებლო სახის საქონლის იმპორტის ზრდა შეანელა. აღსანიშნავია, ასევე კოსმეტიკური საშუალებებისა და ავეჯის ნაწილების გაზრდილი იმპორტი. საინვესტიციო საქონლის იმპორტის მატება უმეტესად საცვობი ავტომობილების, ჩაყვრის მოწყობილობების, დრეკორებისა და სამშენებლო მანქანების შესყიდვებმა განაპირობა. შუალედური სახის საქონლის იმპორტმა დაიკლო, რაც უმეტესად რეექსპორტისთვის განკუთვნილი სპილენძის მადნებისა და კონცენტრატების მნიშვნელოვნად შემცირებამ განაპირობა. გარდა ამისა, ნახშირბადიანი ფოლადის ნაგლინისა და ელექტროენერჯის იმპორტმა წლიურად დაიკლო. მეორე მხრივ, ნავთობპროდუქტების, მსხვილფეხა პირუტყვის, იმუნური შრატებისა და მავთულ-კაბელების იმპორტმა მოიმატა. მთლიანობაში, ოქტომბერში წლიურად საქონლის იმპორტი რეალურად 18.6%-ით გაიზარდა.

საქონლის იმპორტი სასაქონლო კატეგორიების მიხედვით (წვლილი ზრდაში)



წყარო: საქსტატი

საქონლის რეალური იმპორტი (წლიური ცვლილება)



წყარო: საქსტატი

ძირითადი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნებიდან იმპორტის მატებაში მალალი წვლილი შეიძლება ჩინეთმა, რაც ნახშირბადიანი ფოლადის ნაგლინის, გამოთვლელი მანქანებისა და მათი ბლოკების, საცლევვიზო აპარატურისა და სარეცხი მანქანების შემოტანის მატებას უკავშირდება. აზერბაიჯანიდან იმპორტის ზრდა უმეტესად ნავთობპროდუქტების, ხოლო თურქეთიდან ნავთობისა და ნავთობპროდუქტების გაზრდილმა იმპორტმა განაპირობა. ევროკავშირის ქვეყნებიდან იმპორტის მატების კუთხით გამოირჩეოდა ბულგარეთი - ნავთობისა და ნავთობპროდუქტების, იტალია - სამშენებლო მანქანებისა და კოსმეტიკური საშუალებების, ნიდერლანდები - გამოთვლელი მანქანებისა და მათი ბლოკების, ასევე იმუნური შრატების, ავსტრია - ანევა-ჩაფრთხის მოწყობილობებისა და მანქანების, ხოლო შვეიცარია - სამკურნალო საშუალებებისა და შოკოლადის შემცველი მზა პროდუქტების მალალი შესყიდვების გამო. სხვა ქვეყნებიდან აღსანიშნავია აშშ-დან და იაპონიიდან მსუბუქი ავტომობილების, კენიიდან კი მცენარეებისა და მიცელიუმის მნიშვნელოვანი ზრდა. ამის საპირისპიროდ, სომხეთიდან სპილენძის მადნებისა და კონცენტრატების, რუსეთიდან ნავთობისა და ნავთობპროდუქტების, ირლანდიიდან სხვა საფრენის აპარატების, უკრაინიდან მსუბუქი ავტომობილების, ყაზახეთიდან ქვანახშირის ნახევარკოქსისა და კვიპროსიდან ბუქსირებისა და მიმწოლების იმპორტი არსებითად შემცირდა. აღნიშნულ თვეში, 7 ძირითად სავაჭრო პარტნიორზე მთლიანი იმპორტის 63% მოდიოდა. წინა წელთან შედარებით ქვეყნების მიხედვით იმპორტი უფრო მეტად დივერსიფიცირებული იყო.


ოქტომბერში იმპორტირებულ საქონელში, წამყვანი წილი მსუბუქ ავტომობილებს, ასევე ნავთობპროდუქტებსა და დაფასოებულ სამკურნალო საშუალებებს (27%-იანი წილი მთლიან იმპორტში) ეჭირა. აღსანიშნავია, რომ ოქტომბერში იმპორტი სასაქონლო კატეგორიების მიხედვით წინა წლის ოქტომბერთან შედარებით უფრო მეტად დივერსიფიცირებული იყო.

საქონლის იმპორტი პროდუქციის კატეგორიების მიხედვით (ოქტომბერი, 2023, აღნ აშშ დოლარში)

მსუბუქი ავტომობილები, 175	ნავთობის აირები, 31	ნავთობი და ნავთობპროდუქტები, 112		სამკურნალო საშუალებები, 52	
		საძვლეფონო აპარატები, 29	საძვრითო ავტომობილები, 17	სამშენებლო მანქანები, 12	სიგარეტი, სიგარეტი, 11
		კაკაოს მზა პროდუქტები, 12	გამომთვლელი მანქანები, 11		

წყარო: საქსტატი

ქვეყნების წილი საქონლის იმპორტში - (ოქტომბერი, 2023)





წყარო: საქსტატი

ექსპორტი - ოქტომბერში საქონლის რეგისტრირებული ექსპორტი წლიურად 10.3%-ით გაიზარდა. საქონლის ექსპორტის მატება მეტწილად სამომხმარებლო საქონლის ექსპორტის ზრდამ განაპირობა, ხოლო შუალედური საქონლის ექსპორტმა მნიშვნელოვნად დაიკლო. სამომხმარებლო საქონლის ექსპორტის მატებაში მნიშვნელოვანი წვლილი (55.0 კპ) მსუბუქმა ავტომობილებმა შეიძინა, ხოლო სპირტიანი სასმელებისა და მინერალური წყლების ექსპორტი მცირედით გაიზარდა. გარდა ამისა, შუალედური სახის საქონლის ჯგუფში ფეროშენადნობების, ასევე ძვირფასი ლითონებისა და სპილენძის მადნებისა და კონცენტრატების ექსპორტი წლიურად მნიშვნელოვნად შემცირდა, რამაც მთლიანი ექსპორტის უფრო მეტად ზრდა შეანელა. აღსანიშნავია, რომ წვრილფეხა და მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის გაყიდვებმა მნიშვნელოვნად მოიმატა. გარდა ამისა, საინვესტიციო საქონლიდან ტრექტორების, სხვა საფრენი აპარატებისა და სამშენებლო მანქანების ექსპორტი გაიზარდა, ხოლო საცლევვიზო აპარატებისა და სპეციალიზირებული ავტომობილების ექსპორტმა დაიკლო. ოქტომბერში საქონლის ექსპორტის მოცულობა რეალურად 2.7%-ით გაიზარდა.

საქონლის ექსპორტი სასაქონლო კატეგორიების მიხედვით (წვლილი ზრდაში)

საქონლის რეალური ექსპორტი (წლიური ზრდა)



წყარო: საქსტატი

წყარო: საქსტატი; საქართველოს ეროვნული ბანკის გაანგარიშება


რეგიონის ქვეყნებიდან საქსპორტო შემოსავლების მატებაში მალალი წვლილი შეიძლება აზერბაიჯანში ექსპორტის მატებამ, რაც მსუბუქი და საცირთო ავტომობილების, ასევე სამკურნალო საშუალებების გაყიდვების ზრდამ განაპირობა, თუმცა წვრილფეხა და მსხვილფეხა ცოცხალი საქონლის ექსპორტი წლიურად შემცირდა. ყირგიზეთთან, ყაზახეთთან და ტაჯიკეთთან, მსუბუქი ავტომობილების მალალი რექსპორტის გამო, ამ ქვეყნებთან საგარეო ვაჭრობის ბალანსი იანვარ-სექტემბრის მსგავსად, ოქტომბერში კვლავ დადებითი იყო. აღსანიშნავია, რომ წინა თვეების მსგავსად, უზბეკეთში სამკურნალო საშუალებების ექსპორტი კვლავ მალალი იყო. დანარჩენი ქვეყნებიდან აღსანიშნავია მაროკოსა და პერუში მინერალური და ქიმიური სასუქების, ერაყში ცოცხალი მსხვილფეხა პირუტყვის, საუდის არაბეთში წვრილფეხა საქონლის, უგანდაში სხვა საფრენი აპარატებისა და საბერძნეთში მცირეოდენი ნავთობისა და ნავთობპროდუქტების გაყიდვების ზრდა. ამის საპირისპიროდ, რეგიონის სხვა ქვეყნებში ექსპორტის ზრდა შემცირდა. რუსეთში ექსპორტის კლება მსუბუქი ავტომობილების, ყურძნის ნაცურალური ღვინოებისა და ელექტროლი წყალგამახურებლების, ხოლო უკრაინაში მსუბუქი ავტომობილებისა და ნავთობპროდუქტების გაყიდვებს კლებას უკავშირდება. დანარჩენი ქვეყნებიდან აღსანიშნავია ბულგარეთში, ესპანეთსა და ჩინეთში სპილენძის მადნებისა და კონცენტრატების, აშშ-ში ფეროშენადნობების, იტალიაში კაკლისა და თხილის, განასა და მოზამბიკში მინერალური და ქიმიური სასუქების გაყიდვების შემცირება. აღნიშნულ თვეში, 7 ძირითად სავაჭრო პარტნიორზე მთლიანი ექსპორტის 74% მოდიოდა. წინა წელთან შედარებით ქვეყნების მიხედვით ექსპორტი უფრო ნაკლებად დივერსიფიცირებული იყო.

ოქტომბერში საქონლის ექსპორტის უდიდესი წილი მსუბუქ ავტომობილებს (40%-იანი წილი მთლიან ექსპორტში) ეჭირა. მალალი იყო ასევე ყურძნის ნაცურალური ღვინოების, სპირტიანი სასმელებისა და სამკურნალო საშუალებების ექსპორტი. საქონლის ექსპორტის ზრდაში ყველაზე დიდი წვლილი (27.9 პპ მთლიან ზრდაში) მსუბუქი ავტომობილების ექსპორტმა შეიძინა, რომელიც წლიურად 3-ჯერ გაიზარდა. ექსპორტის მოცულობაზე მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონელზე, სპირტიან სასმელებზე, ტრაქტორებსა და მინერალურ წყლებზე საგარეო მოთხოვნის არსებითი მატება დადებითად აისახა. ამის საპირისპიროდ, ჯამურად ძვირფასი ლითონების, ასევე სპილენძის მადნებისა და კონცენტრატების, ფეროშენადნობების, საცელეფონო აპარატებისა, ყურძნის ნაცურალური ღვინოებისა და ცანსაცმლის ექსპორტი შემცირებულია. წინა წელთან შედარებით სასაქონლო ჯგუფების მიხედვით ექსპორტი უფრო მეტად დივერსიფიცირებული იყო.

საქონლის ექსპორტი სასაქონლო კატეგორიების მიხედვით (ოქტომბერი 2023, მლნ აშშ დოლარი)

ქვეყნების წილი საქონლის ექსპორტში (ოქტომბერი 2023)

ყურძნის ნაცურალური ღვინოები, 24	სპირტიანი სასმელები, 22
სამკურნალო საშუალებები, 15	თხილი და სხვა კაკალი, 14
მინერალური/ქიმიური სასუქები, 14	სპილენძის მადნები, 13
	დავაზი ანგულის წყლები, 9
მტკნარი წყლები, 13	მსხვილფეხა პირუტყვი, 8
მსუბუქი ავტომობილები, 196	




წყარო: საქსტატი

წყარო: საქსტატი

ფულადი გზავნილები - ოქტომბერში საქართველოში გადმორიცხული თანხების მოცულობამ წინა წლის იმავე პერიოდთან შედარებით 43.6%-ით დაიკლო და 283.0 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო საქართველოდან გადარიცხული თანხების მოცულობა 0.2%-ით 31.5 მლნ აშშ დოლარამდე გაიზარდა.


წლიურად ფულადი გზავნილების შემცირებას საბაზო ეფექტი და რუსეთიდან ფულადი გზავნილების კლება განაპირობებს. ოქტომბერში, რუსეთიდან ფულადი გადმორიცხვები წლიურად 79%-ით, 62 მლნ აშშ დოლარამდე, შემცირდა. თუმცა, მალალი ცემპით ზრდას განაგრძობს აშშ-დან გადმორიცხული ფულადი სახსრები (39.2%-ით). ასევე, რეგიონის ქვეყნებიდან, ყაზახეთიდან გადმორიცხული ფულადი სახსრები მნიშვნელოვნად (97.6%-იანი ზრდა) გაიზარდა. კვლავ მნიშვნელოვანი წვლილი აქვს ევროკავშირის ქვეყნებიდან, იტალიიდან და გერმანიიდან გადმორიცხული ფულადი გზავნილების ზრდას. ოქტომბერში, რეგიონის ქვეყნებიდან, ყირგიზეთიდან და თურქეთიდან გადმორიცხულმა თანხებმა დაიკლო, შესაბამისად 79.0%-ით და 5.5%-ით. აღსანიშნავია, უკრაინიდან გადმორიცხული ფულადი გზავნილები წინა წლის მინიმალურ დონესთან შედარებით გაზრდილია. **ოქტომბერში, ფულადი გზავნილების ძირითად წყაროს ევროკავშირის ქვეყნები (40.3%), რუსეთი (21.8%) და აშშ (14.7%) წარმოადგენდა. ევროკავშირის ქვეყნებიდან აღსანიშნავია იტალიის, საბერძნეთისა და გერმანიის მალალი წილი მთლიან ფულად გზავნილებში.**

ქვეყნების წილი სწრაფ ფულად გზავნილებაში (ოქტომბერი 2023)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ფულადი გზავნილების ზრდა (წვლილი ზრდაში ქვეყნების მიხედვით)




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

სავალუტო ბაზარი


ოქტომბერში, წინა თვესთან შედარებით, ლარის საშუალო გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 2.6454-დან 2.6909-მდე (1.7%-ით), ხოლო ევროს მიმართ 2.8303-დან 2.8422-მდე (0.4%-ით) გაუფასურდა. თვის ბოლოს კი ლარის ოფიციალურმა გაცვლითმა კურსმა აშშ დოლარისა და ევროს მიმართ 2.7048 და 2.8603 შეადგინა. ოქტომბერში ლარი/დოლარის გაცვლითი კურსის მაქსიმალურმა მნიშვნელობამ - 2.7058, ხოლო მინიმალურმა 2.6675 შეადგინა.

ლარის ნომინალური გაცვლითი კურსი აშშ დოლარისა და ევროს მიმართ



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ლარი/დოლარის გაცვლითი კურსის ყოველთვიური მარყვობის დიაგრამა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ოქტომბერში გაცვლითი კურსის მინიმალური მნიშვნელობა მაქსიმალურთან შედარებით 1.5-ჯერ მეტად იყო გადახრილი.


ოქტომბერში საშუალოდ დოლართან მიმართებაში შესამჩნევია სომხური დრამის, თურქული ლირისა და ლარის გაუფასურება, შედარებით მცირედით გაუფასურდა ევრო და რუსული რუბლი, ხოლო აზერბაიჯანული მანათი პრაქტიკულად უცვლელი დარჩა.

თვის განმავლობაში საშუალო კურსიდან გადახრა (ლარი/დოლარი)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ძირითადი სავაჭრო პარტნიორების საშუალო თვიური გაცვლითი კურსების ცვლილება დოლართან მიმართებით (2023 წლის ოქტომბერი; ზრდა=გაუფასურება)




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ლარის ნომინალური და რეალური ეფექტური გაცვლითი კურსები წლიურად გამყარებას განაგრძობს. ოქტომბერში წლიურად, ლარის რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი - 6.3%-ით, ხოლო ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი 18.7%-ით გამყარდა. რაც შეეხება თვიურ ცენდენციას, წინა თვესთან შედარებით, ოქტომბერში ლარის რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი 0.8%-ით, ხოლო ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი კი 0.5%-ით გაუფასურდა. ეფექტური კურსის გამყარება ქვეყნის კონკურენტუნარიანობაზე უარყოფითად აისახება, თუმცა იმპორტირებულ ინფლაციას ამცირებს.


სავაჭრო პარტნიორთაგან ოქტომბერში წლიური ინფლაცია თურქეთში, რუსეთში, უკრაინაში, აზერბაიჯანში, ბელარუსში, აშშ-სა და ევროზონაში საქართველოზე მაღალი იყო, ხოლო სომხეთში - დაბალი. ძირითადი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების ინფლაციებში კლების ტენდენცია შეინიშნება, თუმცა ჯერ ისევ მაღალ დონეზე ნარჩუნდება.

ლარის ნომინალური და რეალური ეფექტური გაცვლითი კურსის ინდექსები (იანვ 2020=100)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საპაჭრო პარტნიორი ქვეყნების ინფლაციები (2023 წლის ოქტომბერი)




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

სავალუტო ბაზრის ტენდენციები


ოქტომბერში ბანკთაშორის სავალუტო ბაზარზე მონაწილეობდა 13 ბანკი და 5¹ არასაბანკო ორგანიზაცია. სავალუტო ბაზრის მაჩვენებლების მიხედვით თვიურად კონცენტრაცია შემცირებულია. **ჰერფინდალ-ჰირშმანის (HH) ინდექსი დაბალ დონეზე ნარჩუნდება, რაც სავალუტო ბაზრის კონკურენტუნარიანობაზე მიუთითებს.**

ბანკთაშორის სავალუტო ბაზრის მთლიანი საპაჭრო ბრუნვა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ბანკთაშორის სავალუტო ბაზრის კონცენტრაციის მაჩვენებლები 5 ყველაზე აქტიური ორგანიზაციის წილებს მიხედვით




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ოქტომბერში ბანკთაშორის სავალუტო ბაზარზე ვაჭრობის მოცულობა შემცირდა. აღნიშნულ თვეში აშშ დოლარი/ლარის ვაჭრობის მთლიანმა ბრუნვამ 203.3 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა თვესთან შედარებით 7.3 მლნ აშშ დოლარით, წინა წლის ოქტომბერთან შედარებით კი 7.6 მლნ აშშ დოლარით ნაკლებია. ამავდროულად, ბაზრის მონაწილეებს შორის დადებული გარიგებების რაოდენობა წინა თვესთან შედარებით 17.3%-ით, ხოლო წლიურად 19.4%-ით შემცირდა.


ოქტომბერში სავალუტო ბაზარზე ყიდვა-გაყიდვების აქტივობები თითქმის მთლიანად სპოტ² გარიგებებით ხდებოდა (99.2%) და 2,816.5 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წლიურად 160.8 მლნ აშშ დოლარით გაზრდილია (ხოლო თვიურად 29.6 მლნ აშშ დოლარითაა შემცირებული). სპოტ გარიგებების ძირითადი ნაწილი იურიდიულ პირებსა და შინამეურნეობებზე, დანარჩენი კი არარეზიდენტ ბანკებზე მოდიოდა. საქართველოს ეროვნული ბანკის წილი მთლიან ვაჭრობაში 3.5% იყო. წესებზე დაფუძნებული ორმხრივი ინტერვენციების მექანიზმის გამოყენებით თვის განმავლობაში ეროვნული ბანკის წმინდა გაყიდვამ 13.4 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო ორი სავალუტო აუქციონის მეშვეობით ჯამურად ბაზარს 84.9 მლნ აშშ დოლარი მიეწოდა.

1 რომლებიც მონაწილეობენ ბანკთაშორის სავალუტო ბაზარზე დადებულ გარიგებებში.
2 სპოტ გარიგება ხდება იმავდროული ვალუტირებით, იმ დროისთვის არსებული კურსით.

საბ-ის მონაწილეობა სავალუტო ბაზარზე



საოც გარიგებებით უცხოური ვალუტით ვაჭრობა




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ოქტომბერში საოც გარიგებებით კომერციული ბანკებისგან დანარჩენი ეკონომიკური აგენტების მიერ წლიურად უცხოურ ვალუტაზე როგორც მოთხოვნა, ასევე მიწოდება გაზრდილია. საერთო ჯამში, ოქტომბერში საოც გარიგებებით კომერციული ბანკებისგან დანარჩენი ეკონომიკური აგენტების მიერ უცხოურ ვალუტაზე მოთხოვნა წლიურად 25.0 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა (თვიურად 24.7 მლნ აშშ დოლარით შემცირდა) და 1,410.2 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ხოლო მიწოდება, წლიურად 135.7 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა (თვიურად 4.9 მლნ აშშ დოლარით შემცირდა) და 1,406.3 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. საოც გარიგებებით როგორც ვალუტის შეძენაში, ასევე ვალუტის გაყიდვაში ყველაზე დიდი წილი იურიდიულ პირებსა და შინამეურნეობებზე მოდიოდა.


ოქტომბერში სავალუტო ფორვარდ³ გარიგებებით კომერციულ ბანკებსა და სხვა ეკონომიკურ აგენტებს შორის უცხოური ვალუტით ვაჭრობა წლიურად 7.0 მლნ აშშ დოლარით შემცირდა (თვიურად 0.5 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა) და 22.0 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ფორვარდ გარიგებებით ვაჭრობის ძირითადი ნაწილი არარეზიდენტ ბანკებზე, იურიდიულ პირებსა და შინამეურნეობებზე მოდიოდა. ფორვარდ გარიგებებით დანარჩენი ეკონომიკური აგენტების მიერ ბანკებისგან უცხოური ვალუტის წმინდა შესყიდვამ 7.5 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

ბანკთაშორისი საოც გარიგებებით შექმნილი და გაყიდული უცხოური ვალუტა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ფორვარდ გარიგებებით უცხოური ვალუტით ვაჭრობა





წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ოქტომბერში ოფიციალური საერთაშორისო რეზერვების მოცულობა თვიურად 154.4 მლნ აშშ დოლარით შემცირდა და 5.1 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა. რეზერვებზე შემცირების მიმართულებით ეროვნული ბანკის მიერ უცხოური ვალუტის წმინდა გაყიდვებმა, ასევე მთავრობის სავალუტო ხარჯებმა, მათ შორის, საგარეო ვალის მომსახურებამ იმოქმედა.

3 სავალუტო ფორვარდული კონტრაქტი არის ფართოდ მოხმარებადი ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც გამოიყენება სავალუტო რისკების ჰეჯირებისათვის (დაზღვევისათვის). ფორვარდი იძლევა შესაძლებლობას, წინასწარ განსაზღვრული კურსით, დღეს დაიდოს სავალუტო გარიგება ხოლო შესაბამისი ანგარიშსწორება განხორციელდეს მომავალში.

პროვნილი ბანკის ოფიციალური საერთაშორისო რეზერვები მთლიანი საერთაშორისო რეზერვების თვიური ცვლილება (მიმდინარე კურსით)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ფულადი ბაზარი

ოქტომბერში სადებოზიციო სერტიფიკატების ერთი აუქციონი ჩატარდა და 20 მლნ ლარის ღირებულის სამთვიანი სადებოზიციო სერტიფიკატი გაიყიდა. ამავე პერიოდში 20 მლნ ლარის ერთი სადებოზიციო სერტიფიკატი დაიფარა. შესაბამისად წინა თვესთან შედარებით, სადებოზიციო სერტიფიკატების ნაშთი არ შეცვლილა და ოქტომბრის ბოლოს 80 მლნ ლარი შეადგინა.


ოქტომბერში სახაზინო ფასიანი ქაღალდების ექვსი აუქციონი ჩატარდა. აღნიშნულ აუქციონებზე ჯამში 210.0 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები განთავსდა. ოქტომბერში ჩატარებულ აუქციონებზე გაიყიდა 6-თვიანი, ერთწლიანი, ორწლიანი, ხუთწლიანი და ორი ათწლიანი ვადიანობების სახაზინო ფასიანი ქაღალდები, რომლებიც, შესაბამისად, 20, 20, 40, 60 და 70 მლნ ლარის ოდენობით განთავსდა. დაფარვების გათვალისწინებით, სახაზინო ფასიანი ქაღალდების ნაშთი წინა თვესთან შედარებით 134.9 მლნ ლარით გაიზარდა და 7,835.5 მლნ ლარი შეადგინა. მთლიანი პორტფელის 54.9%-ს კომერციული ბანკების, 30.5%-ს ეროვნული ბანკის, 11.6%-ს რეზიდენტების, ხოლო 3.0%-ს არარეზიდენტების მფლობელობაში არსებული სახაზინო ფასიანი ქაღალდები შეადგენს.

სადებოზიციო სერტიფიკატების მოცულობა (ნაპალი)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


სახაზინო ფასიანი ქაღალდების მოცულობა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


ოქტომბერში სადებოზიციო სერტიფიკატების საპროცენტო განაკვეთი გაიზარდა, სახაზინო ვალდებულებების საპროცენტო განაკვეთები კი მცირედით შეიცვალა. კერძოდ, ოქტომბერში, წინა თვესთან შედარებით, სადებოზიციო სერტიფიკატებზე საშუალო შენონილი საპროცენტო განაკვეთი 0.17 პპ-ით, 9.31%-მდე, გაიზარდა. რაც შეეხება სახაზინო ვალდებულებების საპროცენტო განაკვეთებს, ექვსთვიანი სახაზინო ვალდებულებების საპროცენტო განაკვეთი არ შეცვლილა და 9.46%-ზე ნარჩუნდება. ერთწლიანი სახაზინო ვალდებულებების საპროცენტო განაკვეთი კი 0.65 პპ-ით შემცირდა, შესაბამისად 9.28%-ს შეადგენდა. სახაზინო ორწლიანი, ხუთწლიანი და ათწლიანი სახაზინო ობლიგაციების საშუალო შენონილი საპროცენტო განაკვეთები გაიზარდა, 0.04, 0.06 და 0.12 პპ-ით, და შესაბამისად 8.38%, 8.33% და 8.25% შეადგინა.

ფულადი ბაზრის საპროცენტო განაკვეთები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ლარის შამოსავლიანობის გრადი




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ოქტომბერში, ბანკთაშორის ფულადი ბაზრის მოცულობა, თვიურად 725.0 მლნ ლარით, (წლიურად 1,723.0 მლნ ლარით შემცირდა) 9,049.8 მლნ ლარამდე გაიზარდა. რაც მეცნილად უცხოური ვალუტის რესურსით არის განპირობებული. ბანკთაშორის ფულადი ბაზრის დიდი წილი, უცხოური ვალუტის ბრუნვაზე მოდის (73.0%), რომლის მოცულობაც თვიურად 1,290.7 მლნ ლარით (24.3%-ით) გაიზარდა. ლარის რესურსის ბრუნვის მოცულობა კი, თვიურად 565.7 მლნ ლარით (18.8%-ით) შემცირდა.

რაც შეეხება საპროცენტო განაკვეთებს, ბანკთაშორის ბაზარზე ლარის ვალუტის რესურსზე საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი წინა თვესთან შედარებით 0.2 პპ-ით შემცირდა და 9.78% შეადგინა, ხოლო უცხოური ვალუტის რესურსზე საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი 0.03 პპ-ით გაიზარდა და 3.09% შეადგინა.

აღსანიშნავია, რომ ოქტომბერში, ფულადი ბაზრის რესურსის 31.0% ერთ თვემდე ვადიანობის დეპოზიტებზე, ხოლო 68.0% კი მიმდინარე ანგარიშებზე განთავსებულ რესურსზე მოდიოდა.

ბანკთაშორის ფულადი ბაზარი




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

მონეტარული აბრეგატები

ოქტომბერში, წინა თვესთან შედარებით, სარეზერვო ფულის მოცულობა 182.2 მლნ ლარით (2.6%) შემცირდა და პერიოდის ბოლოსთვის 6.8 მლრდ ლარი შეადგინა. მონეტარული ბაზა საშუალო მაჩვენებლის მიხედვით წინა თვესთან შედარებით, 106.6 მლნ ლარით (1.6%-ით) გაიზარდა.


საბანკო სისხლმაში შიდა სამთავრობო კონვერტაციებით, ეროვნული ბანკის წმინდა სავალუტო გაყიდვებმა 59.4 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. სავალუტო ინტერვენციებით ეროვნულმა ბანკმა 84.9 მლნ აშშ დოლარი გაყიდა. BMatch პლატფორმის წესებზე დაფუძნებული მექანიზმის გამოყენებით ეროვნული ბანკის წმინდა გაყიდვებმა ოქტომბრის განმავლობაში 13.4 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. მთლიანობაში შიდა სამთავრობო კონვერტაციებით, სავალუტო ინტერვენციებით და BMatch მექანიზმით, წმინდა უცხოური აქტივები დაახლოებით 157.7 მლნ აშშ დოლარით შემცირდა. ოქტომბერში მთავრობის დეპოზიტებზე არსებული სახსრები 149.7 მლნ ლარით შემცირდა და მისი მოცულობა პერიოდის ბოლოსთვის 729.7 მლნ ლარს გაუტოლდა.

სარეზერვო ფულის თვიური ცვლილება კომპონენტების მიხედვით



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ფულადი აგრეგატი




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ოქტომბერში ნაღდ ფულზე მოთხოვნა 18.0 მლნ ლარით შემცირდა. რეფინანსირების სესხები წინა თვესთან შედარებით 90.4 მლნ ლარით შემცირდა. აღნიშნულ თვეში ერთთვიანი სესხი არ გაცემულა და შესაბამისად მისი ნაშთი უცვლელია. ამავე პერიოდში, მცირე და საშუალო ბიზნესის ლიკვიდობის მხარდაჭერი სესხის ნაშთი 125.6 მლნ ლარით გაიზარდა და 147.3 მლნ ლარს შეადგენს. ოქტომბერში, განთავსდა და დაიფარა 20 მლნ ლარის ნომინალური მოცულობის სადეპოზიტო სერთიფიკატები. ოქტომბერში ეროვნულმა ბანკმა სავალუტო აუქციონით 84.9 მლნ აშშ დოლარი გაყიდა და ამით საბანკო სექტორის ლიკვიდობა 228.0 მლნ ლარით შემცირდა. მეორად ბაზარზე სახაზინო ფასიანი ქაღალდების წმინდა შესყიდვამ 60.0 მლნ ლარი შეადგინა და პორტფელის მოცულობა 60.0 მლნ ლარით გაიზარდა მთლიანობაში, ოქტომბერში ბანკების წმინდა დავალიანების მოცულობა 35.6 მლნ ლარით გაიზარდა და პერიოდის ბოლოსთვის, 1,068.2 მლნ ლარს გაუცოლდა.


ოქტომბერში ფართო ფულის (M3) მოცულობა თვიურად 143.0 მლნ ლარით გაიზარდა, უცხოური და ეროვნული ვალუტის დეპოზიტების ზრდის გავლენით. რაც შეეხება M2 აგრეგატს, მისი მოცულობა 116.0 მლნ ლარით გაიზარდა, რაც ძირითადად ეროვნული ვალუტის დეპოზიტების მატებამ განაპირობა.

საბანკო სექტორის ლიკვიდობაზე მოქმედი ფაქტორები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

მონეტარული ოპერაციები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საქართველოს ეროვნული ბანკი 0114, ზვიად გამსახურდიას სანაპირო N1
ტელ: 240 64 88; ფაქსი: 240 65 77; ტელეფონური ხაზი: 240 64 06
ელ ფოსტა: info@nbg.ge; www.nbg.ge

